# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 7 აპრილი 2006 №77 (2699) ფასი 50 თეთრი


# გერმანია გამოვიდა!

## საქართველოს ნაკრების ოთხი მძიმე დღე: თამაში მსოფლიოს ექსგზის ჩემპიონთან



კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრებში რომ დაინიშნა, მალევე გაამხილა, ძალიან მინდა, ამხანაგურ მატჩში გერმანიის ნაკრებს გავეჯიბროთო. მერე და მერე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაციც ამუშავდა და ტოპის სურვილიც ახდა — 7 ოქტომბერს როსტოკში საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ყველაზე ტიტულოვან გუნდს, გერმანიას გაეჯიბრება ამხანაგურ მატჩში...

— ამ საკითხზე მუშაობა მაშინ დავიწყეთ, როცა უეფას კონგრესზე ვიყავით ბუდაპეშტში. 24 მარტს კი გერმანიის საფეხბურთო კავშირიდან წერილი მივიღეთ და გადაწყდა, რომ მატჩი გაიმართებოდა. თუმც გერმანელებმა გვთხოვეს, ჯერ ნუ გაახმაურებთ ამ ფაქტს, ამის შესახებ პირველებმა ჩვენ უნდა ვთქვათო და ამიტომაც ვერ შეიტყო ჩვენმა საზოგადოებამ ეს ამბავი აქამდე — გვითხრა გუშინ ნოდარ ახალკაცმა.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ასეთი რანგის სპარინგ-პარტნიორი რომ დაითანხმა, ამაში ალბათ კლაუს ტოპმიოლერის ფაქტორმაც შეგიწყოთ ხელი...

— რა თქმა უნდა, ტოპმიოლერის ფაქტორმა დადებითად იმოქმედა. გერმანელებისთვის მართლაც საინტერესოა იმ ნაკრებთან თამაში, რომელსაც გერმანელი წვრთნის.

— ამ ამხანაგური მატჩის გამართვის ინიციატორი ქართული მხარე იყო?

— მატჩის ინიციატორები ჩვენ ვიყავით. გერმანიასთან ამხანაგური მატჩი მამაჩემის აუხდენელი ოცნება იყო და ბედნიერი ვარ, ეს რომ მოვახერხეთ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები თბილისში პირველად 1979 წელს გვეწვია და მაშინ მათ დელეგაციას ეგიდიუს ბრაუნი ხელმძღვანელობდა, რომელიც შემდეგ გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი გახდა და ახალშექმნილ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ყველანაირად გვერდში ედგა.

**დავით თავართქილაძე**



როსტოკის „ოსტშეშტადიონზე“ გერმანიასთან მატჩიდან სამ დღეში საქართველოს იტალიასთან ბრძოლა ელის

DAVIS CUP by BNP PARIBAS

# ევროპული საქართველო თუ შავ-თეთრი აფრიკა?

## ირაკლი პირველი VS იზაკ მერვე



ირაკლი ლაბაძე

სპორტის სასახლეში საჩოგბურთო ხალიჩაა გაშლილი და დღეიდან დევისის თასის მეორე ევრო-აფრიკული ჯგუფის მეტოქეთა შეხლა იწყება: საქართველოს ნაკრები სამხრეთ აფრიკას დაუხვდება და თუ სამდღიან ბრძოლაში აჯობა, პირველ ჯგუფამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩება. რეიტინგით უპირატესობა აფრიკელების მხარესაა. მათი პირველი ნომერი ვესლი მუდი მსოფლიოში 67-ეა და შარშან წყვილებში უიმბლდონზეც უჩემპიონია. ჩვენი პირველკაცი ირაკლი ლაბაძე კი 165-ეა, თუმცა მუდისნაირების და უფრო ყოჩაღების დამარცხებაც რომ შეუძლია, არაერთხელ დაუმტკიცებია.

დღეს ორი თამაშია, 13 საათზე ლაბაძე შედარებით სუსტ აფრიკელ იზაკ ვან დერ მერვეს მოულერებს ჩოგანს. ამ შეხვედრის დასრულებისთანავე კი ლადო ჩიხლაძე დადგება მუდის პირისპირ. ხვალ წყვილები ითამაშებენ, ხოლო ზეგ ლაბაძე და ჩიხლაძე მეტოქეებს გაცვლიან.



იზაკ ვან დერ მერვე

# კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს წინააღმდეგ



**საინტერესო** ამბავი: 7 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები გერმანიის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს გამართავს! ეს ინფორმაცია თავად გერმანიის საფეხბურთო კავშირმა გაავრცელა.

გერმანია — საქართველო როსტოკის 30 000-იან „ოსტშეშტადიონზე" გაიმართება.

7 ოქტომბერი ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის მატჩების დღეა, ჩვენს ჯგუფშიც სამი თამაში იმართება, თუმცა საქართველო ისვენებს. სამაგიეროდ, 10 ან 11 ოქტომბერს კლაუს ტოპმიოლერის ნაკრები თბილისში იტალიას უმასპინძლებს და როსტოკული თამაში ამ მატჩისწინა სპარინგად, იცოცხლეთ, გამოდგება.

მოგეხსენებათ, საქართველო და გერმანია 1995 წელს ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ევრო-96-ის შესარჩევში და ორჯერვე გერმანელებმა მოიგეს: თბილისში 2:0, ნიურნბერგში კი 4:1.

**ილია ნანობაშვილი**

საქართველოს 17 ჩემპიონატი. პირველი ლიგა. მეორე წრე

XXVI ტური

6 აპრილი, ხუთშაბათი

ზესტაფონი 2 1:1 გაგრა
იმედი 1:2 მეშაქრე
ამერი 2 3:1 მაღაროელი
ჩიხურა 2:0 გურია
მესხეთი 3:0 მერანი
ლიახვი 1:6 ვიტ ჯორჯია 2
ზუგდიდი 0:1 თბილისი 2
დინამო 2 4:1 საგარეჯო
მეშახტე 3:2 რუსთავი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 26 | 20 | 3 | 3 | 74:25 | 63 |
| მერანი | 26 | 17 | 4 | 5 | 39:19 | 55 |
| გაგრა | 26 | 15 | 8 | 3 | 38:16 | 53 |
| დინამო 2 | 26 | 14 | 6 | 6 | 43:18 | 48 |
| ამერი 2 | 26 | 13 | 6 | 7 | 34:19 | 45 |
| მეშაქრე | 26 | 12 | 4 | 10 | 35:27 | 40 |
| რუსთავი | 26 | 11 | 7 | 8 | 38:28 | 40 |
| მესხეთი | 26 | 11 | 6 | 9 | 36:26 | 39 |
| გურია | 26 | 11 | 4 | 11 | 36:32 | 37 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 26 | 9 | 5 | 12 | 28:30 | 32 |
| მეშახტე | 26 | 8 | 8 | 10 | 26:26 | 32 |
| ზუგდიდი | 26 | 8 | 6 | 12 | 15:23 | 30 |
| თბილისი 2 | 26 | 8 | 7 | 11 | 23:33 | 31 |
| ზესტაფონი 2 | 26 | 8 | 5 | 13 | 21:38 | 29 |
| მაღაროელი | 26 | 8 | 4 | 14 | 27:48 | 28 |
| საგარეჯო | 26 | 7 | 5 | 14 | 25:37 | 26 |
| იმედი | 26 | 5 | 2 | 19 | 16:58 | 17 |
| ლიახვი | 26 | 4 | 0 | 22 | 19:70 | 12 |

## უეფას თასი 2005-2006

მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. ფუხელ

**ზენიტი** (რუსეთი) 1:1 ***სევილია*** *(ესპანეთი)* (1:4)
1:0 პიუნი (50), 1:1 კეპა (63)

***სტიაუა*** *(რუმინეთი)* 0:0 **რაპიდი** (რუმინეთი) (1:1)

***შალკე*** *(გერმანია)* 1:1 **ლევსკი** (ბულგარეთი) (3:1)
0:1 ე. ანგელოვი (24), 1:1 ლინკოლნი (58)
შალკე: ფ. როსტი, რაფინია, ბორდონი, დ. როდრიგესი, კობიაშვილი, კ. პოულსენი, ლინკოლნი (აზაუაგი 85), ბაირამოვიჩი, ასამოა (ჰამიტ ალტინტოპი 73), კურანი (სანდი 78), ლარსენი
მწვრთნელი: მირკო სლომკა
მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
52 973 მაყურებელი

***მიდლსბრო*** *(ინგლისი)* 4:1 **ბაზელი** (შვეიცარია) (0:2)
0:1 ედუარდო (23), 1:1, 2:1 ვიდუკა (33, 57), 3:1 ჰასელბაინკი (79), 4:1 მაკარონე (90)

ნახევარფინალი

**შალკე — სევილია**
**სტიაუა — მიდლსბრო**

## როიალ ლიგა 2005-2006

ფინალი. პირველი მატჩი

**კოპენჰაგენი** (დანია) 1:0 **ლილესტრიომი** (ნორვეგია)

## შვეიცარია

სუპერლიგა. XXVIII ტური

ქსამაქსი 2:0 ივერდონი
აარაუ 0:1 თუნი
სენტ გალენი 0:2 გრასჰოპერი
ციურიხი 0:0 შაფჰაუზენი

ჩელენჯლიგა. XXVI ტური

ბელინცონა 0:2 კონკორდია
ლოზანა 1:0 კიასო
ლუცერნი 3:0 ბადენი
ლუგანო 0:0 ვოლენი
მეირინი 0:0 კრიენსი
სიონი 4:0 იუვენტუსი
ვინტერთური 1:1 ბოლმი
ვილი — შო დე ფონი გადაიდო

## იტალია

სერია C1/A
გადადებული მატჩი
სპეცია 2:0 ჯენოა

## თურქეთი

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩი
დენიზლი 0:4 ფენერბაჰჩე

*დღეს ფედერაციის აღმასკომი იკრიბება; რამდენიმე დღის წინ გერმანელ არქიტექტორთა და მინდვრების ექსპერტთა ჯგუფი გვსტუმრობდა; რამდენიმე დღის შემდეგ კი ეროვნული სტადიონის ინვესტორის ვინაობა გაცხადდება — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ გოგი ქავთარაძესთან გუშინდელი ინტერვიუს თემებზე დიდხანს ფიქრი ნამდვილად არ დაგვჭირვებია...*



# გოგი ქავთარაძე: თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილია

## ორშაბათს ეროვნული სტადიონი დინამოს გადაეცემა

— ცნობილია თუ არა ყრილობის გამართვის თარიღი?

— სავარაუდოდ, ყრილობა მაისის შუა რიცხვებში გაიმართება.

— რამდენიმე დღის წინ თბილისში გერმანელი არქიტექტორები გვსტუმრობდნენ. ჯერ არ გამოცხადებულა ეროვნულ სტადიონთან დაკავშირებული კონკურსის შედეგი. ხომ შეიძლება, მომავალმა ინვესტორმა გერმანულ კი არა, ვთქვათ, ესპანურ ფირმასთან ისურვოს თანამშრომლობა?

— ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. გერმანელ სპეციალისტებს შევამოწმებინეთ ყველაფერი, მივაწოდეთ ყველა საჭირო ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც დაგვიდებენ შესაბამის დასკვნას. თუ ინვესტორს ექნება სურვილი, მათთანვე ითანამშრომლებს, თუ არა და, ეს დასკვნა ნებისმიერ შემთხვევაში გამოადგება.

— **გერმანელთა სტუმრობის ხარჯები და ანაზღაურება ვინ გაიღო?**

— ამ ეტაპზე რა სამუშაოსაც შეასრულებენ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დააფინანსებს. ისე კი, უკვე ყველასთვის ცნობილია, ვინც იქნება ეროვნული სტადიონის მომავალი ინვესტორი. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ მათთან, მიმდინარე სამუშაოების თაობაზე სრულყოფილ ინფორმაციას ფლობენ.

— საუბარია სპორტსაზოგადოება „დინამოზე", რომელსაც საკონკურსო პირობებში დასახელებული თანხა, ათი მილიონი დოლარი ებევრა...

— ზეპირად ძნელია ლაპარაკი, თუ რა თანხა იქნება საჭირო. შედგება პროექტი, განისაზღვრება სამუშაოთა მოცულობა და შეიძლება აღმოჩნდეს, რომ სტადიონის რეაბილიტაციას 8 ან სულაც 12 მილიონი დოლარი სჭირდება. რადგან ეს ორგანიზაცია კონკურსში მონაწილეობს, გამოდის, მზად არის შესაბამისი ინვესტიციის განსახორციელებლად. რაც მთავარია, წმინდა საფეხბურთო საკითხებს ისინი ჩვენთან ერთად გადაწყვეტენ. პირველ რიგში, საუბარია მინდვრის საფარზე.

— ჩვენი ინფორმაციით, ფეხბურთის ფედერაცია მზად არის, „მიხეილ მესხზე" საფარი საკუთარი ხარჯით გამოცვალოს...

— ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ მინდვრის საფარი „მიხეილ მესხზე" გამოსაცვლელია. ჯერჯერობით გასარკვევია, სტადიონი რკინიგზის საკუთრებად დარჩება თუ, როგორც „ეროვნულზე", კონკურსი გამოცხადდება. დაფინანსების ფორმებზე ამის შემდეგ შეგვეძლება ლაპარაკი. ამას გარდა, თუკი სერიოზულ თანხას გავიღებთ და საფარს გამოვცვლით, მოლაპარაკების გამართვა მოგვიწევს რაგბის ფედერაციასთანაც. მორაგბეებს ნამდვილად ვერ ვეტყვით, წადით და „შევარდენზე" ითამაშეთო. არადა, რაგბის ორი მატჩის გამართვის შემდეგ საფარი ისევ გამოსაცვლელი ხდება.

— მალტის ახალგაზრდული ნაკრების მასპინძლობას ზესტაფონში გეგმავთ, არადა, ტრიბუნების მდგომარეობა უეფას მოთხოვნებს ვერ პასუხობს...

— დავაზუსტებთ და თუ უეფა ნებას დაგვრთავს, ამ შეხვედრას მართლაც ზესტაფონი უმასპინძლებს. სამწუხაროდ, თბილისში ახალგაზრდული ნაკრების მატჩებზე 1000-1500 ქომაგი თუ დადის, არადა, ზესტაფონში ჩვენს გუნდს სავსე სტადიონის მხარდაჭერა გარანტირებული აქვს. ტრიბუნები მართლაც პრობლემაა, მაგრამ ასე თუ ვიმსჯელებთ, ვერც ერთი თბილისური სტადიონის მინდვრის საფარი უეფას მოთხოვნებს ვერ პასუხობს. სამაგიეროდ, ზესტაფონის სტადიონზე ჩინებული საფარია.

— ბოლოს ისევ „ეროვნულს" დავუბრუნდეთ: როდისთვის გაცხადდება კონკურსის შედეგები?

— 10 აპრილს ინვესტორის ვინაობა ოფიციალურად გახდება ცნობილი.

**გიორგი ნოზაძე**

# ფოფხაძე ქსანთის უახლოვდება

**19 წლის** გიორგი ფოფხაძემ კლაუს ტოპმიოლერის ხელში უკვე ორჯერ ითამაშა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში, 12 აპრილს კი მალტაზე რალფ მინგეს ახალგაზრდულში გაირჯება — მოგეხსენებათ, ქართველებს კუნძულზე ევრო 2007-ის შესარჩევი ციკლის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი აქვთ და ფოფხაძეც გამოძახებულია.

გიორგის საბერძნეთში დავუკავშირდით და მთავარი სიახლე ისაა, რომ შესაძლოა ჩვენიანი ახალი სეზონიდან „ქსანთიში" გადავიდეს განათხოვრებით. „ქსანთიში" კი, გეცოდინებათ, ლევან მაღრაძე თამაშობს.

„თავად ვთხოვე „ოლიმპიაკოსის" ხელმძღვანელობას, რომ სუსტ გუნდში არ გავენათხოვრებინე. ნაკრების წევრი ვარ და, მაგალითად, „კალითეას" დონე არ მაკმაყოფილებს. ვნახოთ, ეს სეზონის დამთავრების შემდეგ გადაწყდება".

ფოფხაძემ „ოლიმპიაკოსთან" ლეგიონერთა ლიმიტის გამო პროფესიული კონტრაქტი ვერ გააფორმა და ძირითად გუნდში თამაშის უფლება არა აქვს, თუმცა ძირითადებთან ერთად კი ვარჯიშობს. გიორგიმ გვითხრა, „ოლიმპიაკოსს" განათხოვრება იმიტომ უნდა, რომ სათამაშო პრაქტიკა მომეცეს და მეც ასე მირჩევნიაო.

„რამდენიმე ამხანაგური მატჩი უკვე ვითამაშე. გუშინ 3:0 მოვიგეთ მეორელიგელ კლუბთან, ოღონდ უძლიერესი შემადგენლობა არ გვყოლია. რივალდომ ითამაშა, მე კი საგოლე პასი გავაკეთე."



**ილია ნანობაშვილი**

# რა ანგარიშია ქართულ ფეხბურთში?
## შესახებ ალმასკომის შესახებ



**დღეს** 12 საათზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სხდომა გაიმართება. დღის წესრიგში ექვსი საკითხია შეტანილი:

1. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მეთერთმეტე ყრილობის მოწვევის შესახებ;
2. საქართველოს ახალგაზრდული და 19-წლამდელთა ნაკრებების მთავარი მწვრთნელების დამტკიცების შესახებ;
3. ეროვნული ჩემპიონატის კალენდრის შესახებ;
4. ფეხბურთის ფედერაციის წევრებად ახალი სუბიექტების მიღების შესახებ;
5. ფეხბურთის ფედერაციის საკლუბო ლიცენზირების შესახებ;
6. სხვადასხვა.

დღის წესრიგში პირველ საკითხად მორიგი ყრილობის მოწვევაა შეტანილი. სავარაუდოდ, თავყრილობა შუა მაისში გაიმართება და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დელეგატებს გასული ერთი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშს ჩააბარებს.

ვინც ფეხბურთის ფედერაციის წინა ყრილობას ესწრებოდა, ემახსოვრება, რომ ფედერაციას ჯერ კიდევ შარშან მიმართეს რაჭა-ლეჩხუმისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონულმა ფედერაციებმა სუბიექტებად მიღების თხოვნით. მაშინ მათი თხოვნა ვერ დაკმაყოფილდა, რადგან შესაბამისი პროცედურები იყო გასავლელი. პროცედურა ალმასკომის მიერ ყრილობისთვის ახალი სუბიექტების კანდიდატურების წარდგენას ითვალისწინებს. საბოლოო გადაწყვეტილებას ფედერაციის ყრილობა მიიღებს.

ორი რეგიონული ფედერაციის გარდა სფფ-ის სუბიექტის სტატუსს მიანიჭებენ ეზოს ფეხბურთის ასოციაციასაც, რომლის უმთავრესი კოზირიც ახლახან დაწყებული „პეპსის თასის" საკმაოდ მასშტაბური ღონისძიება იქნება.

უმტკივნეულოდ მოხდება საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად რალფ მინგეს და 19-წლამდელთა ნაკრების დამრიგებლად ჰაინც ტოპმიოლერის დამტკიცება. ამ შემთხვევაში ალმასკომის წევრები უფრო მეტად კლაუს ტოპმიოლერის გადაწყვეტილებას მისცემენ დასტურს, ვიდრე თავად მინგეს და უფროს ტოპმიოლერს.

მოულოდნელი იყო დღის წესრიგში მესამე საკითხის გამოჩენა ეროვნული ჩემპიონატის კალენდრის შესახებ. როგორც შევიტყვეთ, კალენდართან დაკავშირებით არსებობს „გარკვეული გაურკვევლობები" და ალმასკომი ეცდება, ყველა კითხვა თუ სადავო საკითხი მოხსნას.

სავარაუდოდ, საინტერესო უნდა გამოდგეს საკლუბო ლიცენზირების საკითხი. ფედერაცია და პროფლიგა უმაღლეს ლიგაში გუნდების შემცირებას ემხრობიან და ახლა მოსაძებნია ფორმა, რომლითაც ამ პროცესის უმტკივნეულოდ წარმართვა გახდება შესაძლებელი. ყველაზე მარტივი და იმავდროულად ლოგიკური ლიცენზირების სისტემის გამოყენებაა, ანუ ლიგაში მხოლოდ მათი დაშვება, ვინც შესაბამის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ლიგის დღესვე შეკვეცაზე საუბარი არ იქნება, თუმცა საკითხის განხილვას ეს პრობლემა ფონად აუცილებლად გაჰყვება.

ალმასკომის სხდომის დასრულების შემდეგ, 18 საათზე პრესკონფერენცია გაიმართება.

**გიორგი ნოზაძე**

## ინტერტოტოობა ორშაბათსაა
### ამერი უარზეა, ვინ იქნება შემდეგი?

**ჯერჯერობით** არავინ იცის, ვინ მოიპოვებს საქართველოდან ინტერტოტოს თასის საგზურს. აგერ, „ამერმა" უკვე უარი თქვა ამ ტურნირზე და ალბათ, სხვა მიმდევრებიც გამოუჩნდებიან. ასეა თუ ისე, ორშაბათს შვეიცარიულ ნიონში, ჩვენი დროით 14 საათზე ინტერტოტოს თასის კენჭისყრა გაიმართება.

ქართული კლუბი პირველივე ეტაპიდან ჩაერთვება ტურნირში. ეს მატჩები 17-18 და 24-25 ივნისს გაიმართება, სულ კი 26 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. მეორე ეტაპზეც 13 წყვილი შედგება, მერე კი უძლიერესი ევროპული ქვეყნის გუნდებიც ჩაერთვებიან. მეორე ეტაპის მატჩები 1-2 და 8-9 ივლისს, მესამის კი 15-16 და 22 ივლისს გაიმართება.

**ილია ნანობაშვილი**



საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
უმაღლესი ლიგა
მეორე წრე

# საქართველოს XVII ჩემპიონატი
## 23 ტური აქცენტებში

აი, დაძაბულობა... 23-ე ტურმა ცხრილის თავში ორხელისუფლებიანობა ხომ აღადგინა და, თან მდევრების ხუთგუნდიანი ჯგუფიც შეკუმშა. დიდი ამბები იყო ზესტაფონში, სადაც „სიონმა" ორი ქულა დაკარგა, თუმცა, თამაშის მიხედვით, უფრო ქულა მოიპოვა — პირველივე ტაიმში ბოლნისელები 10 კაცით დარჩნენ და... გადარჩნენ. საინტერესო ის იყო, რომ ნამატჩევს პრესკონფერენციაზე აღშფოთებული ზესტაფონელი ქომაგებიც შევიდნენ, მნარე-მნარე კითხვებიც „დაგზავნეს" აქეთ-იქით და კიდევ ის, რომ ამ პრესკონფერენციას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და კლაუს ტოპმიოლერის ძმა, ჰაინცი დაესწრნენ...
„სიონის" წაფორხილებით ისარგებლა „ვიტ ჯორჯიამ", რომელიც გრიპმორეულ „ამერს" მოერია.
სხვა? ისევ ექსპრესივით მიჰქრის „ბათუმი", შინ თუ გარეთ სულერთია, იგებს და იგებს და საპრიზო ადგილის შანსიც გაუჩნდა. ბოლო ტურებში „ბორჯომიც" საგრძნობლად მოფერიანდა, „დინამოც" და „ზესტაფონიც" იქვე ტრიალებენ და ბრძოლა გაგრძელდება, ნუ იტყვით...



ტურის მთავარ მატჩში „ზესტაფონი" და „სიონი" უგოლოდ გაიყარნენ

# უცხოელთა ნაკვალევი

„თბილისი" — „ტორპედო" დიდი არაფრით გამორჩეული თამაში იყო, ეგაა, სხვა რამ მოგვხვდა თვალში: ორივე გუნდში ბლომად ახალწვეულები იყვნენ, 11 მათგანი წინა სეზონში სხვა კლუბში თამაშობდა, 5 კი სულაც უცხოეთიდან დაბრუნდა.

აი, „უცხოელებიც": გოჩა ხოჯავა, სერგო ჭურაძე, დავით გამეზარდაშვილი, გიორგი ყიფიანი და ლევან კორღალიძე. აბა, საზღვარგარეთიდან ფეხბურთელების ჩამოყვანა-გაძლიერება ვის არ უნდა გაუხარდეს?! მთავარი ისაა, როგორ ფორმაში არიან და რამდენად ატყობენ აქაურობას უცხოურ კვალს...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 23 | 17 | 4 | 2 | 46:13 | 55 |
| სიონი | 23 | 17 | 4 | 2 | 41:15 | 55 |
| დინამო | 23 | 14 | 4 | 5 | 39:17 | 46 |
| ზესტაფონი | 23 | 13 | 6 | 4 | 31:17 | 45 |
| ბორჯომი | 23 | 14 | 2 | 7 | 40:20 | 44 |
| ბათუმი | 23 | 13 | 5 | 5 | 30:16 | 44 |
| ამერი | 23 | 13 | 2 | 8 | 28:18 | 41 |
| ლოკომოტივი | 23 | 10 | 4 | 9 | 35:31 | 34 |
| კოლხეთი | 23 | 8 | 4 | 11 | 20:24 | 28 |
| კახეთი | 23 | 8 | 2 | 13 | 24:33 | 26 |
| ტორპედო | 23 | 6 | 6 | 11 | 19:28 | 24 |
| დილა | 23 | 6 | 4 | 13 | 24:32 | 22 |
| ცხინვალი | 23 | 6 | 3 | 14 | 20:43 | 21 |
| სოხუმი | 23 | 4 | 3 | 16 | 22:50 | 15 |
| თბილისი | 23 | 3 | 2 | 18 | 14:41 | 11 |
| სპარტაკი | 23 | 2 | 5 | 16 | 5:40 | 11 |

### მომდევნო ტური

12 აპრილი, ოთხშაბათი

ბათუმი – სოხუმი
ამერი – კოლხეთი
დილა – კახეთი
ლოკომოტივი – თბილისი
ტორპედო – ზესტაფონი
სპარტაკი – ცხინვალი
სიონი – დინამო
ბორჯომი – ვიტ ჯორჯია

# ტოპის აჩრდილი არმაზზე
## ვის როდის გაუხსენებენ 5 აპრილს?

**მცხეთაში** „ვიტ ჯორჯია" — „ამერს" საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელმა რალფ მინგემ ადევნა თვალი. გუშინწინ დილით გამართულ პრესკონფერენციაზე გერმანელმა გვითხრა, სამ სხვადასხვა თამაშზე ჩემი, ჰაინც ტოპმიოლერის და ჰერბერტ ცანკერის დასწრების მიზანი სამალტე შემადგენლობისთვის მეთვრამეტე ფეხბურთელის შერჩევააო.

„არმაზის" ლოჟაში ჰერ რალფის გვერდით მომიწია ჯდომამ. ორივე ბლოკნოტით და საწერკალმით ვიყავით შეიარაღებულნი და ვაღიარებ, მან ჩემზე გაცილებით მეტი ჩაინიშნა: არც ერთი ფეხბურთელის მწვავე, მახვილგონივრული გადაცემა, მოგებული ორთაბრძოლა, დრიბლინგი თუ ზუსტი დარტყმა არ გამოჰპარვია, არადა, მოედანზე უმრავლესობა ახალგაზრდული ნაკრების ასაკს გადაცილებული ფეხბურთელი იყო.

მოკლედ, „ვიტ ჯორჯია" — „ამერს" მხოლოდ მინგე-საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელი კი არა, მინგე-კლაუს ტოპმიოლერის თანაშემწე და მრჩეველიც ესწრებოდა.

რომელმა ფეხბურთელმა ჩაიწერა ყველაზე მეტი პლუსი? „ჩემპიონი" ვეტერინართა კაპიტანი დავით დიღმელაშვილი იყო, რომელსაც დავით იმედაშვილის სახით ღირსეული კონკურენტი ჰყავდა. მინგეს არც ამერელი რატი წინამძღვრიშვილის გარჯა დარჩენია შეუმჩნეველი და დათუნაიშვილთაგან უმცროსის, გიორგის ქმედებებიც რამდენჯერმე „ჩაიკონსპექტა".

უამურმა ამინდმა და დატბორილმა მოედანმა თამაში, ცოტა არ იყოს, გააუფერულა, მაგრამ ფეხბურთელთა მონდომებას ვერა დააკლო და ჟინიანი ბრძოლა 90 წუთი გაგრძელდა. ამაში ლოჟაში მჯდომმა გერმანელმაც დაიდო წილი — ჩანდა, რომ მოედანზე მყოფ ფეხბურთელებს შიგადაშიგ ლოჟისკენ ეპარებოდათ თვალი.

ვის და როდის „გაუხსენებენ" გუშინწინდელ ტურს? ასაკით უმცროსებმა შაბათს დათესილი ეგებ ორი კვირის მერევე მოიმკან, შედარებით უფროსებს კი მაისისთვის უნდა ჰქონდეთ დივიდენდების მოლოდინი.



**გიორგი ნოზაძე**

# უშველებელი 39
## რით ვერ დალაგდა დინამო?

20, 25, 30... მაგრამ 39 რა ამბავია?! არ გეგონოთ, ჰაერის ტემპერატურაზე ვამბობდეთ, 39 ის რაოდენობაა, რამდენმა ფეხბურთელმაც ამ სეზონში ერთხელ მაინც ითამაშა თბილისის „დინამოში".

შეიძლება ვინმე შემოგვედავოს, მაგრამ, ჩვეულებრივ, კლუბისთვის ეს რიცხვი ძალიან ბევრია. ეს იმას ნიშნავს, რომ გუნდი დაუწყობელია, არ ჩანს ძირითადი ბირთვი და არაა გამოსახული ის კონტურები, რომელიც ევროტურნირებზე შეკრულ გუნდად წარმოაჩენს.

„სპარტაკთან" მატჩში „დინამოს" კიდევ ერთი დებიუტანტი სანდრო კობახიძე გახლდათ. განა ამ ბიჭს ვერჩით, პირიქით, ძალიან აქტიურიც იყო მინდორზე. უბრალოდ, ნალები შემადგენლობა უნდა ირჩეოდეს — არა გვგონია, რომელიმე ნორმალურ ევროპულ კლუბს ოდესმე 39 ფეხბურთელი გამოეცადა სეზონში. თანაც, ფინიშამდე ჯერ კიდევ დროა...

# ეს რა დაგვიტოვე, ოთარ?!

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 14-მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| 12-მეგრელაძე | დინამო |
| 11-დვალი | სიონი/დინამო |
| იონანიძე | ზესტაფონი |
| 10-მიქუჩაძე | სიონი |
| 9-დოლიძე | სიონი/ამერი |
| დავითაშვილი | ამერი |
| ბობოხიძე | დინამო |
| 8-ქორიძე | ბორჯომი |
| სულთანიშვილი | დილა/ცხინვალი |
| ქუთათელაძე | კოლხეთი |



**ბარდა** იმისა, რომ საქართველოს ჩემპიონატის წლევანდელი სეზონი არნახულად დაძაბულ ფინიშს გვპირდება, ერთი უცნაურობაც შეიძლება მოხდეს: ბომბარდირთა რბოლას ისევ ოთარ მარცვალაძე ყოჩობს, რომელმაც 14 გოლი გაიტანა 13 მატჩში და ზამთრიდან კიევის „დინამოში" თამაშობს.

მიაქციეთ ყურადღება: მეორე წრეში უკვე 8 ტური მიილია და მარცვალაძეს ვერავინ ეწევა — გიორგი მეგრელაძეს 12, ზურაბ იონანიძეს და ჯაბა დვალს 11-11, კოკა მიქუჩაძეს კი 10 ბურთი აქვს მარაგში.

უცნაურია, არა?!

### სიმბოლური ნაკრები

გრიგოლ იმედაძე — ზესტაფონი
რევაზ ბარაბაძე — თბილისი
თორნიკე აფციაური — თბილისი
დავით იმედაშვილი — ვიტ ჯორჯია
ზაზა სახოკია — ვიტ ჯორჯია
დავით დიღმელაშვილი — ვიტ ჯორჯია
გიორგი თურმანიძე — ზესტაფონი
დავით ქიქველიშვილი — სიონი
გიორგი შაშიაშვილი — დინამო
დავით ლომაია — ვიტ ჯორჯია
გიზო შენგელია — ცხინვალი

გუნდი: ვიტ ჯორჯია
მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

# თუ გავჩემპიონდით, ვისლა არ განმეორდება



დაახლოებით წელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ 21 წლის ვიტჯორჯიელი დავით იმედაშვილი ისევ მიიწვიეს ახალგაზრდულ ნაკრებში. იმედაშვილი მანამდეც ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი იყო ჩვენს ჩემპიონატში, ამ ბოლო დროს კი სულაც „ვიტ ჯორჯიას“ მეგოლედ იქცა — გუშინწინ მან „ამერს“ გაუტანა ორი გოლი, არადა, ხან დაცვაში თამაშობს, ხან — ნახევარდაცვაში...

## დავით იმედაშვილის რეცეპტი: დალიეთ კოქტეილი და გაანებეთ თავი მსაჯებს

— დარწმუნებული ვარ, ჩემპიონი „სიონი“ გახდება — თქვა ამასწინათ „ბათუმის“ თავკაცმა ოთარ გაბელიამ და მისნაირად სხვებიც ფიქრობენ...

— გადაწყვეტილი არაფერია, ჩემპიონს, ალბათ, ოცდამეექვსე ტურის „სიონი“ — „ვიტ ჯორჯია“ გაარკვევს. ეს იქნება გადამწყვეტი მატჩი.

— ახლა ბევრს ლაპარაკობენ მსაჯობაზე...

— მსაჯობის მხრივ ბოლო დროს სიტუაცია გამოსწორდა, მაგრამ ისე ჯერაც არ არის, როგორც უნდა იყოს. მაგალითად, „ზესტაფონთან“ მატჩში ჩვენი ლუკა რაზმაძე მეკარესთან პირისპირ გავიდა და მოცელეს, მაგრამ წესების დამრღვევი ზესტაფონელი ბოლო იმედის ჯარიმისთვის მსაჯმა არ გააძევა.

— ანუ მსაჯის გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მატჩის შედეგზე?

— ხშირად ასეც ხდება, მაგრამ მათ, ვინც თავიანთ ცუდ თამაშს და შედეგს მსაჯებს აბრალებს, ეს გასამართლებელ საბუთად მაინც არ გამოადგებათ. მსაჯობაზე გამოკიდებას და ნერვების ვერმოთოკვას კარგი არაფერი მოაქვს. 21-ე ტურში „დინამოსთან“ ყვითელი ბარათი მივიღე, მომდევნო მატჩი გამოვტოვე და კლუბმა ამის გამო მისაყვედურა, მომთხოვეს, რომ მსაჯებთან აღარ ვიკამათო და ეს ყველაფერი უნდა გავითვალისწინო.

— „ვიტ ჯორჯიამ“ ლიდერობა დაიბრუნა და თასის ნახევარფინალშიცაა — შემჭიდროვებული კალენდარი, ალბათ, ნაკლებად იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ორივე ფრონტზე თანაბარი ძალით იბრძოლოთ...

— ძალიან ცუდია, კალენდარი ასე რომ შეამჭიდროვეს. ამას ემატება ისიც, რომ მომდევნო ტურში, 12 აპრილს „ბორჯომთან“ ვერ ვითამაშებ, რადგან ახალგაზრდულ ნაკრებში გამომიძახეს. მაგრამ, როგორც უნდა იყოს, „ვიტ ჯორჯიას“ ამ სეზონში დუბლის შესრულება უნდა. ვფიქრობ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში თასის აღება შედარებით უფრო ადვილია, ვიდრე ჩემპიონობა. თუ შაბათს შინ „ზესტაფონს“ მოვუგეთ, ცალი ფეხით ფინალში ვართ და ამ ერთი თამაშის მოგებაღა იქნება საჭირო. თასის ფინალში არასდროს მითამაშია და ძალიან მინდა, ეს ამ სეზონში მოვახერხო.

— არცთუ მცირე პაუზის შემდეგ კვლავ მიგიწვიეს ახალგაზრდულ ნაკრებში...

— წინა შესარჩევ ციკლში დანიასთან საშინაო მატჩის მერე აღარ ვყოფილვარ ახალგაზრდულ ნაკრებში. არადა, ნაკრებში თამაში არ ჩამიგდია და მიმაჩნია, რომ მერეც ვიმსახურებდი მიწვევას. ძალიან გამიხარდა, ნაკრებში რომ დამაბრუნეს. „ამერთან“ თამაშის შემდეგ რალფ მინგე მელაპარაკა, შენი თამაშის სანახავად ვიყავი მოსული და მოლოდინი გამიმართლეო.

— „ვიტ ჯორჯიაში“ სხვადასხვა პოზიციაზე გათამაშებენ — დაცვის ცენტრში, ფლანგზე, ნახევარდაცვაში — რომელ ამპლუას მიიჩნევ შენთვის ოპტიმალურად?

— დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რომელ პოზიციაზე ვითამაშებ, თუმც, ვფიქრობ, საჩემო ყველაზე უფრო მარცხენა საყრდენ ნახევარმცველად თამაშია.

— მას შემდეგ, რაც „ვიტ ჯორჯიადან“ ოთარ მარცვალაძე წავიდა, გუნდის ბომბარდირი შენ გახდი — „ვიტ ჯორჯიას“ ფორვარდებს გოლის გატანა უჭირთ...

— მწვრთნელის დავალებაცაა, რომ ყველა შეტევაში მივიღო მონაწილეობა. ჩვენს ფორვარდებს კი მართლა არ უმართლებთ, თორემ კარგად იბრძვიან და საგოლე მომენტებსაც ქმნიან.

— მოედანზე გოლების გარდა აგრესიული თამაშითაც გამოირჩევი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ, ასე ვთქვათ, ეფექტზე მუშაობ...

— განგებ არაფერს ვაკეთებ, უბრალოდ, ასეთი ვარ. ხშირად ვბრაზდები და ნერვებს ვერ ვთოკავ, მიყვარს ძალისმიერი და ხისტი თამაში.

— ამ ჩემპიონატში ყველაზე უფრო რომელი გუნდი მოგეწონა?

— „ზესტაფონი“, მაგრამ ამას შესაძლოა, იმიტომ ვამბობ, რომ ამ გუნდთან დავმარცხდით. „ზესტაფონის“ გარდა მეორე წრეში ორი ქულა დავკარგეთ „დინამოსთან“, მაგრამ მაშინ, უბრალოდ, არ გაგვიმართლა, თორემ მეტოქეზე კარგად ვითამაშეთ.

— როგორ ფიქრობ, „ვიტ ჯორჯია“ რით აღემატება თავის კონკურენტებს?

— თამაშის ხარისხით „ვიტ ჯორჯია“ საუკეთესოა, კომბინაციურ და სწრაფ ფეხბურთს ვთამაშობთ. მართალია, მოედნის საფარი ამაში ხელს არ გვიწყობს, მაგრამ ჩვენ მაინც ვცდილობთ, გუნდური თამაშით გავიდეთ ფონს.

— საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფორვარდად ვის მიიჩნევ, უფრო ვისთან ჭირს თამაში?

— საუკეთესო ოთარ მარცვალაძე იყო, თამაში კი არავისთან მიჭირს, თუმც ზურაბ იონანიძეს გამოვარჩევ.

— ამბობენ, „ვიტ ჯორჯიას“ სიძლიერეს ისიც განაპირობებს, რომ მის ფეხბურთელებს კარგი ვიტამინიზაცია აქვთო...

—„ვიტ ჯორჯიაში“ ვიტამინებს ხანდახან ინდივიდუალურადაც გვაძლევენ. ჩვენი ექიმი როლანდ ხვადაგიანი ვიტამინების სხვადასხვა კოქტეილს ამზადებს. ფაქტია, გადატვირთული კალენდარი „ვიტ ჯორჯიაზე“ ჯერ არ მოქმედებს, კვლავ მხნედ გამოვიყურებით.

— იმასაც ამბობენ, თუ ჩემპიონი ისევ „ვიტ ჯორჯია“ გახდა, ორი წლის წინ ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე შინ „ვისლასთან“ 2:8 რომ წააგო, შესაძლოა, ისევ ისე მოხდესო...

— მაშინ ჩვენ ასეთი რანგის მატჩისთვის ძალიან გამოუცდელები ვიყავით, ახლა კი შედარებით მეტი გამოცდილება გვაქვს. მართლაც სამწუხარო იყო ასეთი მარცხი. წაგებაც არის და წაგებაც, მაგრამ ცხოვრება ამით არ მთავრდება. თუ წლეულსაც ვითამაშებთ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, გპირდებით, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდება.

**დავით თავართქილაძე**

# ნაკრები შეივსო

## რალფ მინგეს ზესტაფონიდან ხმალაძე შეაშველეს

**ჯერ** კიდევ 23-ე ტურის მატჩების დაწყებამდე გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა რალფ მინგემ, მე და ჩემი შტაბი თამაშებს დავესწრებით და სამალტე შემადგენლობას ერთ ფეხბურთელს მერე დავამატებთო.

მინგემ იქვე დააკონკრეტა, ნახევარმცველი ან თავდამსხმელი გვჭირდებაო და აი, ისიც — ნაკრების გერმანულმა თავკაცობამ უკვე გამოცხადებულ შემადგენლობას ბოლნისის „სიონის“ შუახაზელი ლევან ხმალაძე დაამატა. მისი კანდიდატურა მინგეს ჰაინც ტოპმიოლერმა შესთავაზა, ვინც გუშინწინ „ზესტაფონ“ — „სიონის“ მატჩს დაესწრო და ხმალაძის თამაში პირადად ნახა.

**კახა შალამბერიძე**

# ფანიაშვილი და კვარაცხელია ფინალს ვერ განსჯიან

**ხვალ** მცხეთის „არმაზი“ და ბოლნისის „თამაზ სტეფანია“ დავით ყიფიანის სახელობის თასის პირველ ნახევარფინალურ შეხვედრებს უმასპინძლებენ. გუშინ კი ამ მატჩებზე მომსახურე მსაჯების ვინაობა გაირკვა.

მცხეთაში „ვიტ ჯორჯია“ — „ზესტაფონს“ ლევან ფანიაშვილი განსჯის. მას ლევან მიქელაძე და ზაზა მენთეშაშვილი დაეხმარებიან, მეოთხე მსაჯი კი გიორგი ვადაჭკორია იქნება.

ბოლნისურ „სიონ“ — „ამერის“ მატჩში არბიტრი ლევან კვარაცხელიაა, თანამსაჯები მამუკა ელიკაშვილი და მამუკა ურუშაძე, მეოთხე მსაჯი კი — არსენ ნინიკაშვილი.

როგორც სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარე ამირან კაჭახიძემ გვითხრა, იგივე ბრიგადები განსჯიან საპასუხო შეხვედრებსაც, რომლებიც 2 მაისს გაიმართება.

და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია: არბიტრს, რომელიც ნახევარფინალებს მოემსახურება, ფინალში მსაჯობა აღარ მოუწევს.

სათასო ნახევარფინალების დამკვირვებლებისა და დელეგატების ვინაობა კი დღეს გახდება ცნობილი.

**გიორგი ნოზაძე**

ნდობის ტელეფონი
(13 წლიდან)
(822) 42-55-44
822 006 005
822 006 099
„მაგთი“, „ჯეოსელი“
თბილისი - 0,65 ლ



# ღია წერილი სფფ-ს აღმასკომს

სფფ-ის აღმასკომი ქართული ფეხბურთის უმაღლესი მმართველი ორგანოა და იმედი მაქვს, ჩვენი ფეხბურთის ბედი თქვენთვის სულერთი არაა. ამიტომაც, უმორჩილესად გთხოვთ, აღმასკომის 7 აპრილის სხდომაზე განიხილოთ ქვემოთ მოყვანილი ფაქტები, რომლებზეც ყურადღების არგამახვილება ქართულ ფეხბურთს დიდ ზიანს მიაყენებს:

1. გთხოვთ, შეფასებულ იქნას სფფ-ის სანაკრებო პოლიტიკა ბოლო 9 თვის განმავლობაში.

2. გთხოვთ, დაისვას აღმასკომზე საკითხი, თუ რა დამსახურებისთვის ინიშნებიან საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების მთავარ მწვრთნელებად რალფ მინგე, ჰაინც ტოპმიოლერი და ჰერბერტ ცანკერი და ვინ იქნება პასუხისმგებელი მოსალოდნელ შედეგებზე.

3. რატომ აღარ ატარებს ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელების, მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველის და ვიტალი დარასელიას სახელებს სამი ასაკობრივი ჭაბუკთა ლიგა?

4. გთხოვთ, გამოიკვლიოთ, მიიღო თუ არა სფფ-მ ბოლო ათი თვის განმავლობაში ქვემოთ ჩამოთვლილი გრანტები და რაში დაიხარჯა ისინი:

2005 წელი

აგვისტო — 300 000 შვეიცარული ფრანკი სფფ-ს საქმიანობისთვის უეფას პროგრამა „სოლიდარობიდან“.

სექტემბერი — 400 000 აშშ დოლარი ეროვნული ნაკრების ბაზის ხელოვნურსაფარიანი მოედნის შესაძენად ფიფასგან.

ოქტომბერი — 275 000 შვეიცარული ფრანკი უმაღლესი ლიგის კლუბების ახალგაზრდული ფეხბურთის პროგრამებისთვის უეფასგან.

დეკემბერი — 300 000 შვეიცარული ფრანკი სფფ-ს საქმიანობისთვის უეფას პროგრამა „სოლიდარობიდან“.

წლის ბოლომდე ეტაპობრივად:

„ჰეთ თრიქის“ პროგრამით რეგიონული ფედერაციების ოფისებისა და მოედნებისთვის:

— 84 000 ევრო

— 400 000 შვეიცარული ფრანკი

— 279 000 შვეიცარული ფრანკი

გარდა ამისა:

— 225 000 აშშ დოლარი სფფ-ს სპონსორ „ფეროსგან“ სფფ-ს საქმიანობისთვის.

— 50 000 აშშ დოლარი სფფ-ს სპონსორ „ყაზბეგისგან“ სფფ-ს საქმიანობისთვის.

2006 წელი

მარტი — 225 000 აშშ დოლარი ფიფადან სფფ-ს საქმიანობისთვის.

ბატონებო, იმედი მაქვს, გულისხმიერად მოეკიდებით ამ ფაქტებს და ქართული ფეხბურთისთვის სასიკეთო გადაწყვეტილებებს მიიღებთ.

*პატივისცემით, მამუკა კვარაცხელია*

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი*

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი

**იუვენტუსი** (იტალია) 0:0 ***არსენალი*** *(ინგლისი)* (0:2)

**იუვენტუსი:** ბუფონი, ძამბროტა, კოვაჩი, კანავარო, კიელინი (ბალძარეტი 66), მუტუ (ზალაიეტა 61), ემერსონი, ვიეირა, ნედვედი, ტრეზეგე, იბრაჰიმოვიჩი

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

**არსენალი:** ლემანი, ებუ, ტურე, სენდეროსი, ფლამინი, ლიუნგბერგი, ჟილბერტო სილვა, ფაბრეგასი, გლები (პირესი 63), რეიესი, ანრი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: ფლამინი, რეიესი, კიელინი, ნედვედი, ნედვედი

გაძევება: ნედვედი (77)

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

70 000 მაყურებელი

## მიტინგი დელე ალპიზე
### გაანძრიეთ ერთი ადგილი!



„**იუვენტუსმა**“ „დელე ალპიზეც“ უნიათოდ ითამაშა და ახიც იყო, ლიგას რომ გამოეთიშა. მართალია, ტურინელებს ამჯერადაც აკლდათ ფეხბურთელები (დელ პიერო, ვიეირა, კამორანეზი, ძებინა), მაგრამ ქომაგები მისგან ასეთ უსახურ ბურთაობას მაინც არ ელოდნენ.

„არსენალი“ კი ძალიან ჭკვიანურად მოიქცა, შედეგზე ითამაშა და მიზანსაც მიაღწია. ლონდონელები ძირითადად დაცვაზე ფიქრობდნენ, ტერიტორიული უპირატესობაც მეტოქეს დაუთმეს, მაგრამ პერიოდულად „ბებერ ქალბატონზე“ ბევრად უფრო მწარედ იკბინებოდნენ. „იუვე“ ჯანლუიჯი ბუფონს უნდა უმადლოდეს, გოლი რომ არ გაუშვა. მან სულ მცირე, სამჯერ იხსნა გუნდი.

ტურინელებმა კი რამდენიმე მეტნაკლებად სახიფათო მომენტი შექმნეს. ორჯერ ტრეზეგეს ჰქონდა შანსი, ერთხელ შეცვლაზე შესულ ზალაიეტას. დელ პიეროსა და ტურამის არყოფნაში „იუვეს“ კაპიტანმა ჯანლუკა ძამბროტამ შორიდან სცადა გატანა. დუნედ მოთამაშე იბრაჰიმოვიჩის დარტყმული შეიძლებოდა, რიკოშეტით, ლემანის კარში აღმოჩენილიყო, მაგრამ ჩამუხლული გრძელფეხა გერმანელი ბურთს მაინც მისწვდა. ყველაზე რეალური შანსი კი ალბათ პაველ ნედვედს ჰქონდა, რომელმაც საჯარიმოს სიახლოვიდან დაარტყა. ჩეხი ასეთ დროს ზუსტია ხოლმე, მაგრამ ამჯერად...

თავდამსხმელებამდე ბურთის მიტანას „იუვენტუსი“ ვერც ამჯერად ახერხებდა. თითქოს ყველა ნედვედის იმედად იყო, რომელსაც სასწაულების მოხდენა ევალებოდა. ჩეხმა დაახლოებით მე-60 წუთისთვის გამოილვიძა და ისე იაქტიურა, 77-ე წუთზე მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და ყველაფერი დასრულდა.

„ჩემი აზრით, ეს პირველი მატჩის გაგრძელება იყო. ტურინელები გრძელი პასებით ცდილობდნენ ფონს გასვლას, რასაც პრემიერლიგაში მიჩვეულები ვართ და არ გაგვჭირვებია. ჩვენი მთავარი მიზანი ნედვედის გაუვნებლება გახლდათ, რაც შევძელით კიდეც. გადამწყვეტი როლი შეასრულა იმან, რომ მათ ვერც პირველ 15 წუთში გაიტანეს და ვერც მთლიანად ტაიმში. და მთავარი — ნედვედის გაძევება. აქ უკვე თამაში დამთავრდა“ — თქვა არსენ ვენგერმა.

ფაბიო კაპელო: „ორი მატჩის ჯამში მეტოქემ წარმატება დაიმსახურა. კარგი იქნებოდა, „არსენალს“ ახლა არ შევხვედროდით — ჩვენ პრობლემები გვაქვს, ისინი კი საუკეთესო ფორმაში არიან. თუმცა ვფიქრობ, დღეს ჩემმა ბიჭებმა კარგად ითამაშეს იმ გუნდთან, რომელიც თავს 10 კაცით იცავდა. ამჟამად მეტი არ შეგვეძლო. ჩვენი მომენტები უნდა გამოგვეყენებინა და შანსი გვექნებოდა“.

„დელე ალპიზე“ 70 ათასმა ქომაგმა მოიყარა თავი, რაც იშვიათია. თუმცა ბოლოსკენ, იმედგაცრუებული გულშემატკივრები ტრანსპარანტების მეშვეობით სთხოვდნენ საყვარელი გუნდის ფეხბურთელებს, კერძოდ კი იბრაჰიმოვიჩს, ერთი ადგილი გაენძრიათ და საშველად ალესანდრო დელ პიეროს ეძახდნენ, რომელიც მეუღლესთან ერთად ტრიბუნაზე იჯდა.

„მჯერა, სეზონს კარგად ჩავამთავრებთ და სკუდეტოს მოვიგებთ. თუმცა ამისთვის ქომაგების მხარდაჭერაა საჭირო და იმედია, ისინი ზურგს არ შეგვაქცევენ. იბრაჰიმოვიჩმა საკმაოდ კარგად ითამაშა და ზედმეტად ნუ გავაკრიტიკებთ. დელ პიერო კი ჩვენთვის მართლაც მნიშვნელოვანი მოთამაშეა და იმედია, მალე დავვიბრუნდება.“ — ესეც კაპელოს სიტყვებია.

გამოცდილი ლილიან ტურამის არყოფნა კი კაპელომ იმით ახსნა, რომ უნდოდა, მინდორზე მაქსიმალურად დასვენებული მოთამაშეები ყოფილიყვნენ. თანაც იბრაჰიმოვიჩისთვის სწრაფი პასის მიმცემი ფეხბურთელი მჭირდებოდა, ხოლო კოვაჩი გადაცემებში უფრო ზუსტი და სწრაფია, ვიდრე ტურამიო.

**გიორგი ძაძამიძე**



## ტელეპრეზიდენტი
### ადრიანოს ფაკეტი მოხვდა

**ჩემპიონთა ლიგიდან** იტალიური „ინტერის“ გამოვარდნის შემდეგ „ნერაძურის“ პრეზიდენტმა ჯაჩინტო ფაკეტიმ კლუბის ტელეარხზე კომენტარი გააკეთა. მან ბრაზილიელი ფორვარდი ადრიანო გააკრიტიკა. ქომაგთა დიდ ნაწილსაც მიაჩნია, რომ მილანელთა წარუმატებლობა ადრიანოს ცუდი თამაშით არის განპირობებული. იგი მთელი სეზონია, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი, არადამაჯერებლად თამაშობს.

„ჩემი აზრით, ერთადერთი შანსი ჩემპიონთა ლიგაში წარმატების მისაღწევად, თერთმეტივე ფეხბურთელის ასი პროცენტით დახარჯვაა. ასეთი დონის ტურნირებში ერთ-ერთმა მათგანმა რომ ითამაშოს უგულოდ და უღიმღამოდ, საკუთარ თავთან ერთად მთელ გუნდს ჩაძირავს“ — აღნიშნა ფაკეტიმ.

მართალია, „ინტერის“ პრეზიდენტს პირდაპირ არავინ დაუსახელებია, მაგრამ მინიშნებები ადრიანოსკენ კეთდებოდა. ცნობილია ისიც, რომ რობერტო მანჩინი შეტევაში წლეულს უფრო შედეგიანად მოთამაშე არგენტინელი ხულიო რიკარდო კრუზის დაყენებას აპირებდა, მაგრამ ბოლოს მაინც ბრაზილიელი არჩია და ალბათ შეცდა.

ჯაჩინტო ფაკეტი: „ძალიან იმედგაცრუებული ვარ. „ვილიარეალი“ მართლაც ძლიერი კლუბია და მიმდინარე სეზონში ბრწყინვალე ფორმაშია, მაგრამ ჩვენ მისი დამარცხება შეგვეძლო და ეს უნდა გაგვეკეთებინა კიდეც. „მადრიგალზე“ მატჩის წინ ბიჭებს, უბრალოდ, ყურადღებით თამაში და ხასიათის გამოვლენა ვთხოვე. ჩვენ კი მეტოქეს პრობლემები მხოლოდ ბოლო წუთებში შევუქმენით, რაც საკმარისი არ იყო“.

ახლა „ინტერის“ მთავარი ამოცანა მეორე ადგილზე გასვლა და მოსისხლე მტრის, „მილანის“ უკან მოტოვებაა. თუ „ნერაძურიმ“ ესეც ვერ შეძლო, რობერტო მანჩინი ეგებ მართლაც დაითხოვონ. აპენინებზე ამაზე უკვე ალაპარაკდნენ.

„ისლა დაგვრჩენია, მეორე ადგილისთვის ვიბრძოლოთ და ჩემპიონთა ლიგაში საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე მოვხვდეთ. ზედმეტი პრობლემების შექმნა საჭირო არ არის. ზაფხულში კი უფრო მშვიდად და გააზრებულად ვიფიქრებთ მომავალ სეზონზე“ — დასძინა ფაკეტიმ.

„ინტერის“ მფლობელმა მასიმო მორატიმ გუშინ თქვა, მომწყინდა ამდენი ფულის ხარჯვა და შეიძლება, კლუბი მივატოვოო.

**გიორგი ძაძამიძე**

## გაუმარჯოს მსმსერს?!

„**ფრანს ფუტბოლის**“ რედაქციას ხელში ჩაუვარდა დოკუმენტი, რომელსაც შეგვიძლია საიდუმლოც კი ვუწოდოთ. ეს გახლავთ ცნობილი G14-ის მიერ 2005 წლის დეკემბერში, ბოლო თათბირზე შემუშავებული მოქმედების ათგვერდიანი გეგმა, რომელშიც მრავალი პუნქტი და ქვეპუნქტია, ოღონდ მათგან „ფრანს“ ფუტბოლი“ 6.1-ს გამოჰყოფს. 6.1 პუნქტში საუბარია ევროლიგის შექმნაზე. იქ წერია, რომ ევროლიგას სათავეში G14 ჩაუდგება და შეჯიბრებას ეროვნული ჩემპიონატების პრინციპით ჩაატარებს. დოკუმენტის შემდგენებს მიაჩნიათ, რომ ევროლიგა ყველაზე მეტად ინგლისურ პრემიერლიგას უნდა დაემსგავსოს, სადაც ყველაფერს საკუთრივ კლუბები ხელმძღვანელობენ, ფეხბურთის ასოციაცია კი მხოლოდ მსაჯებს ნიშნავს და ტექნიკურ საკითხებს უზრუნველყოფს.




მაგრამ რაც აქამდე ვთქვით, მეტად თუ ნაკლებად ცნობილი გახლდათ, რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპის გუნდებთან დაკავშირებულ საკითხებს, ეს აშკარად უცნობი იყო. კერძოდ, G14-ის წარმომადგენელთა აზრით ევროპულ საკლუბო შეჯიბრებების დონე დაეცა და ეს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლის ბრალი ყოფილა. როგორ? როგორ და, ამ ორი ქვეყნის დაშლამ წვრილ-წვრილი გუნდების რაოდენობა გაზარდა, რამაც საბოლოოდ დასავლეთევროპულ ფეხბურთს დარტყმა მიაყენა.

როგორც ჩანს, G14 აღმოსავლეთ ევროპას სიამოვნებით გაემიჯნება, მაგრამ ეს საკითხი ჯერ მოსამწიფებელია, მანამდე კი ორგანიზაციის ფინანსური დირექტორი ტომას კურტი აცხადებს, რომ უეფამ კომერციული ინტერესების საწინააღმდეგოდ გააუქმა ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპი, რაც დაუშვებელი იყო და მომავალში ასეთი უპასუხისმგებლობისგან თავის დასაცავად ფიფასა და უეფას აღმასკომებში ხმათა მოპოვებაა საჭირო.

ბოლოს, ერთხელაც გავიმეორებთ, რაც ადრეც გვითქვამს: G14-ის მთავარი პრინციპი კომერციული ინტერესების უზენაესობაა, ხოლო ვინაიდან მოგება კლუბებს მოაქვთ, მთელი ევროპული ფეხბურთი უნდა მართონ კიდეც კლუბებმა.

**პაპუნა ძიდია**

## ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი



# რაიკარდი და კუმანი ერთი ჯამიდან არ ჭამენ

**ბარსელონა** (ესპანეთი) 2:0 **ბენფიკა** (პორტუგალია) (0:0)
1:0 რონალდინიო (19), 2:0 ეტოო (88)
რონალდინიომ ვერ გაიტანა პენალტი (5, მეკარე)
**ბარსელონა:** ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი, ვან ბომელი (ედმილსონი 84), ინიესტა, დეკო, რონალდინიო, ეტოო, ლარსონი (ჟიული 86)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
**ბენფიკა:** მორეტო, რიკარდუ როჩა, ლუიზაო, ანდერსონი, ლეო, ბეტუ (რობერი 72), პეტიტი, მ. ფერნანდეში (მარსელი 82), ჟოვანი (კარაგუნისი 55), სიმაო, მიკოლი
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
გაფრთხილება: დეკო, ეტოო, ფერნანდეში, ლუიზაო, ანდერსონი
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
90 000 მაყურებელი

**სიურპრიზი** არ ყოფილა — „ბარსელონა“ „მილანთან“ ნახევარფინალში ითამაშებს. ეს მატჩი ესპანურმა მედიამ ლიგის წინასწარ ფინალად გამოაცხადა, „ბარსაც“ და აპენინური გრანდიც ჩინებულ ფორმაში არიან და დიდი შანსია, მათ შორის გამარჯვებული ჩემპიონთა თასის მფლობელიც გახდეს.

„კამპ ნოუზე“ საქმეები თავიდანვე მასპინძელთა სასარგებლოდ აეწყო. პეტიტმა „ბენფიკას“ საჯარიმოში ხელით ითამაშა და არბიტრმა ლუბოშ მიხელმაც პენალტი დანიშნა. ბურთთან რონალდინიო მივიდა, თუმც პორტუგალიელთა ახმახი მეკარე მორეტო მაგრად დაუხვდა. რონალდინიოს „პირველი ტყვია“ კი გაუცუდდა, მაგამ ბრაზილიელმა მე-19 წუთზე მოიოხა გული და ეტოოს კარგი პასით ეფექტური გოლი შეაგდო. „ბარსა“ ორ მატჩში პირველად დაწინაურდა.

პორტუგალიელთა ტანმოკლე ფორვარდი ფაბრიციო მიკოლი, რომელმაც წინა მატჩში ფრიად იაქტიურა, ჩვეულ ფორმაში ვერ იყო — იტალიელი კარლეს პუიოლმა შებოჭა და ვალდესის შეწუხება არ დაანება. „ბარსას“ მხრიდან პირველ ტაიმში გატანა ეტოოს და ვან ბომელს შეეძლოთ.

შესვენების შემდეგ მასპინძელთაგან სამუელ ეტოო გამოირჩეოდა, გოლის ჟინით შეპყრობილი კამერუნელი „ბენფიკას“ თავს ფლანგებიდანაც ესხმოდა, რაც მას ნაკლებად სჩვევია. „ბენფიკას“ ყველაზე ხელსაყრელი ეპიზოდი კი ექსბარსელონელი სიმაო საბროსას ვალდესის სიახლოვეს მარტო დარჩენა იყო, თუმც სიმაომ კარს ააცილა. მიკოლის და კარაგუნისსაც უნდა გაეტანათ, ოღონდ მათ შესანიშნავად მოთამაშე ვიქტორ ვალდესმა არ დაანება.

მეორე გოლი სამუელ ეტოომ ლუდოვიკ ჟიულის პასით შეაგდო. „ორი შეხვედრის ჯამში გამარჯვებას ჩვენ უფრო ვიმსახურებდით და „ბარსა“ ნახევარფინალში სამართლიანად გავიდა“ — განაცხადა ფრანკ რაიკარდმა მატჩის შემდეგ. „შედეგით უკმაყოფილო ვარ, „კამპ ნოუზე“ ფრე უნდა გვეთამაშა, ორი ძალიან ხელსაყრელი მომენტი გავანიავეთ. კატალონიელებმა გვაჯობეს, მაგრამ ნახევარფინალში გასვლა ჩვენც შეგვეძლო“ — თქვა „ბენფიკას“ მწვრთნელმა კუმანმა.

**ლადო ხომერიკი**

**ნახევარფინალი.**
**მილანი — ბარსელონა**
**არსენალი — ვილიარეალი**

# რონალდო: რაულის თავი მომიტანეთ

**მადრიდის** „რეალის“ უფროსობას რონალდოს გუნდიდან გაშვება არ უნდა, ფეხბურთელი კი დარჩენის სანაცვლოდ „უმნიშვნელო რაღაცას“, „სანტიაგო ბერნაბეუდან“ რაულის მოცილებას ითხოვს.

ბრაზილიელი ტრანსფერზე დაყენებულთა სიიდან დასატოვებელთა ნუსხაში მოხვდა — „რეალის“ პრეზიდენტი ფერნანდო მარტინი დიდის ამბით ამტკიცებს, რომ კიჭა დღესაც მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელია.

ფეხბურთელი და პრეზიდენტი ბოლო დღეებში ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. კატალონიური „სპორტის“ ცნობით, რონალდოს ბერნაბეუზე“ დარჩენის სანაცვლოდ „რეალიდან“ რაულის გაშვება მოუთხოვია.

რონალდო სამეფო თეთრების ინჩახსთა თვალში უკვე ისე საძაგლად აღარ მოჩანს. თითქოს ჯადოსნური ჯოხი აუქნიესო, ყველაზე მეტად მაგინებლებიც კი აღრინდელივით აღმერთებენ. ესპანური პრიმერას ბოლო სამ ტურში ფორვარდმა სამი გოლი გაიტანა და ყველა დაარწმუნა, რომ მეტის გაკეთებასაც შეძლებს.

ბრაზილიურმა **O GLOBO TV**-მ, რომელსაც კიჭასთან შეხმატკბილებული ურთიერთობის გამო ოკეანისგაღმა **RONALDO TV**-საც უწოდებენ, „რეალის“ ვარსკვლავს მადრიდული გუნდის კაპიტნის საწინააღმდეგო მოსაზრებების გამოსათქმელად ეთერი დაუთმო. რონის და რაულს შორის ომი ძალიან გამწვავდა და ბრაზილიელმაც „სანტიაგო ბერნაბეუს“ ინჩადას ძველი ცოდვები შეახსენა. „როცა „ოქროს ბურთი“ მოვიპოვე, ფანებმა რაული ცაში აიყვანეს ქება-დიდებით, მე კი რატომღაც არავის გავახსენდი. ეს უპატივცემულობაა“ — განაცხადა ლუის ნასარიო და ლიმამ.




ესპანელმა ვარსკვლავმა რონალდოს ეგოისტი უწოდა. „ჩემპიონთა ლიგის მაგიურ გარემოს მისი მსგავსი ფეხბურთელები აფუჭებენ. „არსენალთან“ თამაშში რონალდო მარტო თავის თავზე ფიქრობდა და „რეალი“ არც გახსენებია“ — აღნიშნა რაულმა.

დღეს რონალდოს მადრიდში ულიმიან და კიჭაც ყველანაირად ცდილობს, საძულველ რაულს ლახვარი ჩასცეს და თავიდან მოიშოროს. „ბრაზილიეროს“ შული კაპიტანთან ძველი ამბავია. „რეალში“ სულ ცოტა ხნის მისული იყო რონალდო, „მარკასთან“ ინტერვიუებში პირდაპირ რომ აცხადებდა — გუნდში საერთო ენა თითქმის ყველასთან გამოვნახე, ამპარტავან რაულს კი ვერაფერი მოვუხერხეო.

ძალიან ძნელი წარმოსადგენია, ორივე ფეხბურთელი მომავალ სეზონში ერთ გუნდში იყოს. ფერნანდო მარტინი რონალდოზეც კარგს ამბობს და რაულზეც, გაბრაზება არ უნდა. რონალდო კი ბრაზილიურ გაზეთებში ხშირად მიანიშნებს, რაულმა ფორმა დაკარგა და „ბერნაბეუზე“ მარტო „ესპანური მაფიის“ დახმარებით რჩებაო. პრეზიდენტმა არჩევანი რონალდოს და რაულს შორის უნდა გააკეთოს.

„ო გლობომ“ კი „რეალში“ რონალდოს მისვლის დღიდან ბრაზილიელის და ესპანელის გატანილი გოლები დათვალა — 2002-03-ის სეზონიდან კიჭამ ოფიციალურ მატჩებში 99 გოლი შეაგდო, ხოლო რაულმა 65. ვინ ვის, ბრაზილიელი ესპანელს, თუ პირიქით?

**ლადო ხომერიკი**



# მანჩესტერმა მკერდი დააზღვია

**„მანჩესტერ იუნაიტედს“** მაისურაზე ჯერჯერობით **„VADAFONE“** აწერია, მაგრამ მომავალ სეზონიდან წარწერა დამოკლდება და ასეთი იქნება — **AIG**. ესაა ამერიკული სადაზღვევო კომპანია, რომელთანაც მანჩესტერელებმა პრემიერლიგის ისტორიაში სარეკორდო კონტრაქტი გააფორმეს. იმის სანაცვლოდ, რომ მაისურაზე ოთხი წლის განმავლობაში **AIG** ეწეროს, ამერიკელებმა 56 მილიონ 500 ათასი გირვანქა გადაიხადეს. აქამდე სარეკორდო იყო „ჩელსისა“ და „სამსუნგის“ 50 მილიონიანი კონტრაქტი.

შეგახსენებთ, რომ შარშან „მანჩესტერ იუნაიტედი“ ამერიკელმა ბიზნესმენმა, მალკოლმ გლეიზერმა, იყიდა. სადაზღვევო კომპანიისგან მიღებული თანხით გლეიზერთა ოჯახი ახალი ფეხბურთელების ყიდვას, გუნდის გაძლიერებას და „ჩელსისთან“ შეჯიბრს აპირებს, რომელიც ამბრამოვიჩის ფულით მოღონიერდა. **AIG**-ის აღმასრულებელმა თავმჯდომარემ მარტინ სალივანმა განაცხადა: „ეს გარიგება ჩვენს ბიზნესს უფრო გააფართოებს და კლუბსაც აძლიერებს“.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ზედიზედ რამდენიმე წელი მსოფლიოში უმდიდრეს კლუბად ითვლებოდა და ეს ტიტული „რეალმა“ ამ წლის დასაწყისში ჩამოართვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მსოფლიოს თასი

## გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

FIFA FUSSBALL-WELTMEISTERSCHAFT DEUTSCHLAND 2006

### C ჯგუფი

### არგენტინა, კოტ დივუარი, სერბეთი, ჰოლანდია

# გუნდი. ნარინჯიანი

**რვა წლის წინ** საფრანგეთში ჰოლანდიის ნარინჯისფერი ნაკრები ანუ „ორანიე“ მეოთხე ადგილზე გავიდა, ოთხი წლის წინ იაპონია-კორეაში კი, ვაგლახ, საერთოდ ვერ მოხვდა. და აი, 2006 წელს ნიდერლანდების სამეფო ისევ მუნდიალზეა. ამჯერად ჩეხეთისგან, რუმინეთისგან, ფინეთისგან, მაკედონიისგან, სომხეთისგან და ანდორისგან შედგენილმა შესარჩევმა ჯგუფმა უდიდესი ტრადიციების მქონე ჰოლანდიას დაბრკოლება ვერ შეუქმნა. „ორანიე“ თორმეტი თამაშიდან ათი მოგებითა და ორი ფრით პირველ ადგილზე გავიდა და თან ყველაზე დიდ მეტოქეს, ჩეხეთს შინაც მოუგო და სტუმრადაც.

თუკი ისტორიას გავიხსენებთ, ვნახავთ, რომ საუკეთესო პერიოდი ჰოლანდიის ეროვნულ გუნდს 1970-იან წლებში ედგა, როდესაც ზედიზედ ორჯერ, 74-სა და 78-ში მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალში გავიდა და ორივეჯერ მასპინძელთან, პირველ შემთხვევაში გერმანიასთან, მეორე შემთხვევაში კი არგენტინასთან წააგო. იმ დროის „ორანიეში“ თამაშობდნენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც გახლავან იოჰან კრუიფი, იოჰან ნეესკენსი და სხვები. ნიდერლანდელთა მეორე გაბრწყინება კი საფეხბურთო მსოფლიომ 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანების დასაწყისში, მარკო ვან ბასტენის, რუუდ გულიტისა და ფრანკ რაიკარდის დროს იხილა. მაშინ, 1988 წელს, ჰოლანდია ევროპის ჩემპიონი გახდა, თუმცა, ევროპა ევროპად და, მუნდიალებზე ციდან ვარსკვლავები ნამდვილად არ მოუკრეფია.



* * *

*მწვრთნელი:* ლეგენდარული მარკო ვან ბასტენი, 41 წლის, ოღონდ, ლეგენდარულს რომ ვამბობთ, მის ფეხბურთელობას ვგულისხმობთ, თორემ, როგორც მწვრთნელს ვან ბასტენს თავისი სიდიადე ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვს. ვან ბასტენმა 2004 წელს დიკ ადვოკაატი შეცვალა. ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან ეს დანიშვნა ერთგვარ რისკთანაც იყო დაკავშირებული, ვინაიდან „ფრანს ფუტბოლის“ სამგზის ლაურეატ თავდამსხმელს არანაირი სამწვრთნელო გამოცდილება არ ჰქონდა.

მოდი, თავი დავანებოთ ვან ბასტენის დიდ ფეხბურთელობას და მისი ცხოვრების ბოლო ათწლეულზე ვთქვათ ანუ 1995 წლის შემდგომ პერიოდზე. ეს ის ხანია, რაც ტრავმებისგან ლამის დაკოჭლებულმა ვარსკვლავთ ვარსკვლავმა ბურთის თამაშს თავი დაანება და თავისი ბოლო გუნდის, „მილანის“ პრეზიდენტისგან, სილვიო ბერლუსკონისგან მოისმინა, რომ მისთვის შავ-წითელ გუნდში სამსახური ნებისმიერ დროს მოიძებნება. აქვე, თქვენი ნებართვით, გავიხსენებთ ვან ბასტენის, რუუდ გულიტისა და ფრანკ რაიკარდის დროინდელი ლეგენდარული „მილანის“ მწვრთნელის არიგო საკის ნათქვამს, ჩემს გუნდში სამ მომავალ მწვრთნელს ვხედავ და ისინი ფრანკ რაიკარდი, მაურო ტასოტი და მარკო ვან ბასტენი არიანო. რაიკარდამა, მოგეხსენებათ, კარიერის დამთავრების შემდეგ მალევე მოკიდა საქმეს ხელი, ტასოტი „მილანში“ მეორე მწვრთნელად მოეწყო, ხოლო ვან ბასტენმა გამოაცხადა, ფეხბურთის გაგონება აღარ მინდა, ცხოვრება უფრო ფართოაო და კარგა ხნით გაქრა.

მარკო ვან ბასტენი ფეხბურთს 2003 წელს დაუბრუნდა, როდესაც „აიაქსში“ ძველი მეგობრის, მეორე გუნდის თავკაცის, იონ ვანკ სხიპის ასისტენტად მივიდა... და, ვიმეორებთ, 2004-ში ის ნაკრების თავკაცად დანიშნეს.



* * *

*კაპიტანი და საკვალიფიკაციო ეტაპის ვარსკვლავი:* ვეტერანი მეკარე ედვინ ვან დერ სარი. შესარჩევი ეტაპის ზოგიერთ შეხვედრაში ჰოლანდიელები მთლად საუკეთესო ფორმაში ვერ იყვნენ და სწორედ აქ გამოიჩინა თავი კარის ბებერმა მცველმა. თუ ამ ნათქვამის სტატისტიკით განმტკიცება გნებავთ, ინებეთ: „ორანიემ“ შესარჩევი ეტაპის 12 შეხვედრაში მხოლოდ 3 გოლი გაუშვა.

რაც შეეხება ვან დერ სარის კაპიტნობას, მან სამკლავური ერთიხანობა დაბეჩავებულ ედგარ დავიდსს ჩამოართვა და, მართალია, ბოლო დროს დავიდსი თითქოს გამოკეთდა, კაპიტნად მაინც მეკარე რჩება.

ვან დერ სარი 1970 წლის 29 ოქტომბერს გახლავთ დაბადებული. კარიერა მშობლიური ქალაქის, ვოორჰუტის გუნდ FC Foreholte-ში დაიწყო, საიდანაც „ნოორდვიკში“ გადავიდა და იქიდან „აიაქსამდე“ ამაღლდა. „აიაქსის“ შემადგენლობაში ვან დერ სარმა ჩემპიონთა ლიგა მოიგო. შემდეგ გადავიდა „იუვენტუსში“, საიდანაც ინგლისურ „ფულემს“ მიაშურა, ხოლო 2005 წელს „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მიიწვია და დღემდე იქ თამაშობს.

ნაკრებში ვან დერ სარმა პირველად 1995 წელს ბელარუსთან ითამაშა, შემდეგ კი შეიქნა ის მეკარე, რომელიც პენალტების სამი უიღბლო სერიის დროს იდგა კარში, ევრო 96-ზე, 1998 წლის მუნდიალსა და ევრო 2000-ზე.

* * *

*ლეგენდა:* ალბათ ყველაზე ადვილი წარმოსათქმელი იოჰან კრუიფის გვარ-სახელია, არა?! მაგრამ, მოდი, ნუ დავივიწყებთ მას, ვინც ჰოლანდიური ფეხბურთის ფენომენი მოიგონა. რინუს მიხელსზე ვთქვათ, მოაზროვნეზე, რომელმაც მსოფლიოს ტოტალური ფეხბურთი აჩუქა.



რინუს მიხელსი დაიბადა 1928 წლის 9 თებერვალს, ხოლო გარდაიცვალა 2005 წლის 3 მარტს. მისი ხელმძღვანელობით ჰოლანდიამ 1974 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ითამაშა, ხოლო 1988 წელს, ნაინფარქტალმა, გუნდი ევროპის ჩემპიონი გახადა. ფეხბურთელობისას მიხელსი „აიაქსში“ თამაშობდა, რომლის შემადგენლობაშიც 257 მატჩი ჩაატარა და 140 გოლი გაიტანა.

* * *

*ახლანდელი ვარსკვლავი:* რუუდ ვან ნისტელროი, 1976 წლის 1 ივლისს დაბადებული თავდამსხმელი, რომლის შესახებ ყველამ ყველაფერი იცის, თუმცა მისი სრული სახელი შეიძლება ბევრისთვის უცნობიც იყოს, ხოლო ბევრმა ვერ გაიმეოროს: როტგერუს იოჰანეს მარტინიუს რუუდ ვან ნისტელროი. როტგერუს იოჰანეს მარტინიუს რუუდი „მანჩესტერ იუნაიტედში“ 10 ნომრად თამაშობს, ნაკრებში კი ხან ცხრად, ხანაც ათად.



2004 წლის ივლისში ვან ნისტელროიმ რვაწლიანი ბოიფრენდ-გელფრენდული ურთიერთობის მერე გაბედა და ცოლად მოიყვანა ლეონტინ სლაატსი. დღეისათვის პრემიერლიგის ბომბარდირთა სიას 21 გოლით ის და არსენალელი ტიერი ანრი უდგანან სათავეში.

* * *

\+ შეკრული გუნდი, რაც ინტრიგებით და ერთმანეთის ქიშპით ცნობილ ჰოლანდიაში იშვიათი რამაა. ამბობენ, რომ ახლანდელი „ორანიეს“ ყველა ფეხბურთელი ერთნაირი ვნებით მღერის ეროვნულ ჰიმნს.

* * *

— ახალგაზრდათა გამოცდილების ნაკლებობა.

* * *

